

გუცარდი იტალიის წინააღმდეგ

GUZZARDI V. ITALY

საქმის ფაქტობრივი მხარე

A. სისხლის სამართლის წარმოება ბატონი გუცარდის წინააღმდეგ

9. ბატონი გუცარდი, იტალიის მოქალაქე, დაიბადა 1942 წელს. 1973 წლის 8 თებერვალს იგი დააკავეს და მოათავსეს წინასწარ პატიმრობაში მილანში. შემდგომ მას ბრალი წაეყენა შეთქმულების მოწყობაში და 1972 წლის 18 დეკემბერს ბიზნესმენის გატაცებაში თანამონაწილეობაში. ბიზნესმენი გამტაცებლებმა გაათავისუფლეს 1973 წლის 7 თებერვალს, დიდი ოდენობით გამოსასყიდის გადახდის შემდეგ.

არასაკმარისი სამხილების გამო მომჩივანი გათავისუფლებულ იქნა 1976 წლის 13 ნოემბერს მილანის საოლქო სასამართლოს მიერ, მაგრამ შემდგომში 1979 წლის 19 დეკემბერს მსჯავრდებულ იქნა მილანის სააპელაციო სასამართლოს მიერ და მიესაჯა თვრამეტი წლით პატიმრობა და ჯარიმის გადახდა.

10. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, წინასწარ პატიმრობაში მომჩივანის ყოფნა, რომლის განმავლობაშიც იგი დაქორწინდა თავის საცოლზე და მალევე მისგან ვაჟი ეყოლა, არ შეიძლება გაგრძელებულიყო ორ წელზე მეტ ხანს. აქედან გამომდინარე, პატიმრობა უნდა დასრულებულიყო არა უგვიანეს 1975 წლის 8 თებერვლისა.

11. ამ რიცხვში ბატონი გუცარდი პოლიციის ესკორტით მილანის ციხიდან გადაიყვანეს კუნძულ ასინარაზე, სარდინიის მახლობლად.

B. მომჩივანისთვის დანიშნული “განსაკუთრებული ზედამხედველობა”

12. 1974 წლის 23 დეკემბერს მილანის პოლიციის უფროსმა მილანის პროკურორს გაუგზავნა ანგარიში, სადაც ის წარადგინდა ბატონი გუცარდის მიმართ “განსაკუთრებული ზედამხედველობის” გამოყენებას და უთითებდა 1956 წლის 27 დეკემბრის № 1423 კანონის მე-2 მუხლს (შემდგომში “1956 წლის კანონი, იხ. პუნქტები 45-51 ქვემოთ) და 1965 წლის 31 მაისის № 575 კანონის მე-2 მუხლს (შემდგომში “1965 წლის კანონი”, იხ. პუნქტი 52 ქვემოთ).

ამ წარდგინების საფუძველზე პროკურორის მიერ 1975 წლის 14 იანვარს აღნიშნული ზედამხედველობის დაწესების შესახებ შუამდგომლობის შეტანის შემდეგ, მილანის საოლქო სასამართლომ (სისხლის სამართლის საქმეთა მე-2 კოლეგია) 30 იანვარს დაადგინა, რომ ბატონ გუცარდიზე დაწესებულიყო განსაკუთრებული ზედამხედველობა სამი წლის ვადით. ამასთან, მომჩივანი ვალდებული იყო ეცნოვრა “კუნძულ ასინარას რაიონის” იმ ადგილას, რომელიც მითითებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მომჩივანს:

- ერთი თვის ვადაში სამუშაოს ძებნა უნდა დაეწყო, უნდა გადასახლებულიყო მითითებულ ადგილას, მისი მისამართის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა საზედამხედველო ორგანოებისთვის და არ დაეტოვებინა მითითებული ადგილი ამ ორგანოებისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე;

- მოთხოვნისთანავე გამოცხადებულიყო საზედამხედველო ორგანოებში დღეში ორჯერ და ნებისმიერ დროს;
- არ დაბრუნებულიყო სახლში საღამოს ათ საათზე გვიან და არ გასულიყო სახლიდან დილის შვიდ საათზე ადრე, აუცილებელი შემთხვევებისა გარდა, რაც დროულად უნდა შეეტყობინებინა ზედამხედველი ორგანოებისთვის;
- ზედამხედველი ორგანოებისთვის წინასწარ შეეტყობინებინა იმ პირთა შესახებ, რომლებთან დარეკვაც ან, რომელთა სატელეფონო ზარის მიღებაც მას სურდა, თუ სატელეფონო ზარი საქალაქთაშორისო იყო; აგრეთვე, ამ პირთა ტელეფონის ნომრები.

13. ბატონმა გუცარდიმ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მილანის სააპელაციო სასამართლოში. აპელაციას სასჯელის გადავადების ძალა არ ჰქონია (1956 წლის კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი), ამგვარად მისი სისრულეში მოყვანა არ შეჩერებულია.

1975 წლის 10 თებერვალს მისმა ადვოკატმა, ბატონმა კატალანომ, გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება რიგი გარემოებების საფუძველზე და ამტკიცებდა, რომ ის არაკანონიერი და დაუსაბუთებელი იყო. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ კუნძულ ასინარაზე მის კლიენტს არც სამუშაოს შოვნა შეეძლო და არც მის ცოლთან და შვილთან ცხოვრება. ბატონმა კატალანომ სააპელაციო სასამართლოს მოსთხოვა, პირველ რიგში აღნიშნული გადაწყვეტილება საერთოდ გაეუქმებინა და მისი კლიენტი, საჭიროების შემთხვევაში, სამკურნალოდ გაეგზავნა უროლოგიურ კლინიკაში, რაც აუცილებელი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის.

14. 12 თებერვალს, სააპელაციო სასამართლომ (სისხლის სამართლის საქმეთა პირველი კოლეგია), იმავე საკითხთან დაკავშირებით პროკურორის მოთხოვნების შესახებ დაადგინა, რომ ბატონი გუცარდი გადაყვანილიყო სასარის საავადმყოფოს (სარდინია) უროლოგიურ კლინიკაში; გარდა ამისა, სასამართლომ მის სამდივნოს დაავალა, სასარის კარაბინერებისგან მიეღო ინფორმაცია კუნძულ ასინარაზე სამი ადამიანის დაბინავებისა და სამუშაო ადგილის პოვნის შესაძლებლობის თაობაზე.

მაგრამ 14 თებერვალს პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოს მოსთხოვა აღნიშნული დადგენილების გაუქმება. მათ განაცხადეს, რომ წინასწარი პატიმრობის პერიოდში ბატონმა გუცარდი უარი განაცხადა მილანის უნივერსიტეტის უროლოგიურ კლინიკაში ანალიზების აღებაზე და, რომ ექსპერტები თვლიდნენ, რომ მას სავარაუდოდ არავითარი მძიმე ავადმყოფობა არ სჭირდა.

შედეგად, სააპელაციო სასამართლომ იმავე დღეს გააუქმა თავისივე დადგენილება და შემდეგი სხდომა აღნიშნა 1975 წლის 12 მარტს.

16. 1975 წლის 17 და 21 თებერვალს ბატონმა კატალანომ სააპელაციო სასამართლოს მიმართა საჩივრით, რომელშიც გააპროტესტა პროკურატურის “დაუჯერებელი” განცხადებები და მოითხოვა საგამოძიებო ზომების ადგილზე მიღება. მისი აზრით, მისი კლიენტი კუნძულ ასინარაზე იმყოფებოდა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ პატიმრობაში.

17. 1975 წლის 12 მარტს მილანის სააპელაციო სასამართლომ (პირველი კოლეგია) უარი თქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და 30 იანვრის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. სასამართლომ განაცხადა, რომ ის ვერ ხედავს დამაჯერებელ არგუმენტს, თუ რატომ არის კუნძული ასინარა შეუფერებელი იძულებითი ბინადრობისთვის.

18. ბატონმა გუცარდომ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში.

ბატონმა კატალანომ საკასაციო სასამართლოს მოსთხოვა 1975 წლის 12 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება, მას შემდეგ, რაც იჩივლა საკონსტიტუციო სასამართლოში 1956 წლის კანონის მე-3 მუხლის (რომელიც სააპელაციო სასამართლომ განმარტა) კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტთან და 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან შეუსაბამობის შესახებ.

მე-13 მუხლი ეხება “პიროვნების თავისუფლებას”, მე-4 პუნქტის მიხედვით, “ნებისმიერი ფორმით თავისუფლებაშეზღუდული პირისათვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად დანაშაულს”. 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, “სასჯელი არ უნდა მოიცავდეს ისეთ მოპყრობას, რომელიც ხელყოფს ადამიანურ ღირსებებს, არამედ მიმართული უნდა იყოს მსჯავრდებული პირის გამოსწორებაზე”.

19. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 1975 წლის 6 ოქტომბერს. იგი დაეთანხმა პროკურორის მოსაზრებებსა და უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე მისი უსაფუძვლობის მოტივით. სასამართლომ აგრეთვე განაცხადა, რომ მომჩივანის მიერ აღძრული საკონსტიტუციო **სარჩელი** ამკარად უსაფუძვლო იყო.

20. 1975 წლის 14 ნოემბერს ბატონმა კატალანომ ორი შუამდგომლობით მიმართა მილანის საოლქო სასამართლოს. პირველი მიმართული იყო სისხლის სამართლის საქმეთა მე-2 კოლეგიის თავმჯდომარის, როგორც სასჯელის აღსრულებაზე ზედამხედველი მოსამართლის, მიმართ. ბატონი კატალანო ითხოვდა სავალდებულო ბინადრობის შესახებ დადგენილების გაუქმებას და ამტკიცებდა, რომ, თუ თავმჯდომარე ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი მონაშულებდა კუნძულ ასინარას, იგი თავად დარწმუნდებოდა, რომ იქ ცხოვრების მისჯა ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, სამართლიანობას, მართლმსაჯულებასა და პიროვნების უფლებებს. მეორე შუამდგომლობით, ადვოკატი მე-2 კოლეგიას სთხოვდა, კუნძული ასინარა შეეცვალა სხვა რაიონით, სადაც ბატონ გუცარდომის შეეძლო ემუშავა, არ ჰქონოდა კავშირი ეჭვმიტანილებთან და ეცხოვრა მის ცოლ-შვილთან ერთად, რომლებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ კუნძული იქ ყოფნის საშვის ვადის გასვლის გამო.

ადვოკატი უთითებდა 1975 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებას იენასიო პულარას სააპელაციო საჩივარზე. იმ საქმეში მილანის სააპელაციო სასამართლოს დადგენილების მიხედვით, სასჯელის აღსრულებაზე ზედამხედველობის განმარტებული მოსამართლე უფლებამოსილი იყო შეეფასებინა ასინარაზე ცხოვრების პირობები.

სისხლის სამართლის საქმეთა მეორე კოლეგიამ 1976 წლის 20 იანვარს გამოიტანა გადაწყვეტილება. პირველ რიგში, მან აღნიშნა, რომ პრევენციული ღონისძიების გამოყენება შედიოდა პოლიციის ორგანოების კომპეტენციაში და არა სასჯელის აღსრულებაზე ზედამხედველი მოსამართლის ფუნქციებში. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ საზოგადოების დაცვის აუცილებლობა ამართლებდა ასინარაზე გადასახლებულთა, ე.ი., განსაკუთრებით საშიშ პირთა მიმართ იზოლირების განსაკუთრებული ფორმის გამოყენებას. თუმცა, ეს აუცილებლობა არ მოითხოვდა ამ პირთა ღირსეულობას მათი ოჯახებისაგან ან სამუშაოსაგან მოწყვეტას.

21. 1976 წლის 21 ივლისს მილანის კვესტორმა მილანის საოლქო სასამართლოს მოსთხოვა, დაედგინა, იყო თუ არა ბატონი გუცარდი გადაყვანილი ფორცეს რაიონში, ასკოლი პიცენოს პროვინციაში მატერიკზე. მოტივად იგი აცხადებდა, რომ ასინარაზე მომჩივანისა და მასთან ერთად ბრალდებული იენასიო პულარას ერთდროულად ყოფნას, რომელიც ასევე სავალდებულო ბინადრობის სასჯელს იხდიდა, შეიძლება სისხლის სამართალწარმოების მიზნებისთვის და, ზოგადად, კუნძულზე უსაფრთხოებისთვის, სავალალო შედეგები გამოეწვია.

საოლქო სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა, ხოლო, 1975 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების (იხ. პუნქტი 12 ზემოთ) დარჩენილი ნაწილი კვლავ ძალაში დატოვა.

22. ბატონი გუცარდი ფორცეში უნდა დარჩენილიყო 1978 წლის 8 თებერვლამდე. ამ რიცხვში გადიოდა აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი სამწლიანი ვადა.

C. მომჩივანის ყოფნა კუნძულ ასინარაზე

1. ადგილმდებარეობის აღწერა

23. ასინარა მდებარეობს სარდინიის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირის მახლობლად. ეს გრძელი და ვიწრო კუნძული, უსწორმასწორო მიწის ზედაპირით, სიგრძეში ყველაზე დიდი 20 კმ თუ იქნება. თუმცა კუნძულის ფართობი მთლიანობაში 50 კვადრატული კილომეტრია, ის ადგილი, სადაც იძულებით დასახლებული პირები იმყოფებიან არ აღემატება 2.5 კვადრატულ კილომეტრს. ხმელეთის ამ ნაწილს ესაზღვრება ზღვა, გზები და სასაფლაო. მისი პერიმეტრი არანაირად არ არის მონიშნული.

2. გადაადგილების შესაძლებლობა

26. მთავრობა კომისიას უმტკიცებდა, რომ კალა რეალეში ადამიანს თავისუფლად შეუძლია მოძრაობა. მეორე მხრივ, ბატონი გუცარდი აცხადებდა, რომ კარაბინერების უფროსი ოფიცრის ბრძანებით, იძულებით დასახლებაში მყოფ პირებს, ეკრძალებოდათ გადაადგილება 800 მეტრის რადიუსის იქით.

28. ასეთ პირებს უფლება ჰქონდათ ეთხოვათ სარდინიაზე ან იტალიის მატერიკზე გამგზავრების ნებართვა, თუ საამისოდ საპატიო მიზეზი არსებობდა, როგორცაა, მაგალითად, სამედიცინო მკურნალობა, ოჯახური პირობები ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა მითითების შესრულება.

მთავრობამ განაცხადა, რომ ნებართვა, "ჩვეულებრივ", გაციემოდა სათანადო დოკუმენტების წარდგენიდან მოკლე პოლიციური შემოწმების შემდეგ. მომჩივანის თქმით კი, ნებართვის მოპოვება მეტად რთული იყო.

3. დაბინავების საკითხი

30. იძულებით დასახლებულ პირთაგან უმრავლესობა ყოფილი სამედიცინო დაწესებულების ორ შენობაში იყო განთავსებული. ეს შენობები იყო საკმაოდ დიდი და, როგორც ჩანს, ძირითადად შედგებოდა ერთი ან ორ საწოლიანი საძინებელი ოთახებისგან. მესამე შენობა, ე.წ. "პაგოდინა", განკუთვნილი იყო ოჯახთან ერთად მყოფი "მაცხოვრებლებისთვის". "პაგოდინა" შედგებოდა ორი ბინისაგან, რომელთაგან თითოეულში იყო საძინებელი და სამზარეულო. მომჩივანი ცხოვრობდა ერთ-ერთ მთავარ შენობაში ან "პაგოდინაში" იმის მიხედვით, მარტო იყო, თუ ოჯახთან ერთად.

5. ოჯახთან ერთად ყოფნა

34. იძულებით დასახლებულ პირებს შეეძლოთ ადმინისტრაციისთვის მიემართათ თხოვნით, გაეცა ნებართვა ამ პირის უახლოესი ადამიანების კუნძულზე დასაშვებად.

35. თავდაპირველად, მომჩივანთან ცხოვრების შესაძლებლობა ჰქონდათ მის ცოლ-შვილს, სიდერსა და სიმამრს და ძმისშვილს. 1975 წლის 9 ოქტომბერს მის ოჯახის წევრებს ებრძანათ კუნძულის დატოვება. მათ საშვებს ვადა გაუვიდა 28 აგვისტოს, ხოლო, მომჩივანს არ მიუძღოდა მათი ვადის გაგრძელების თხოვნით. თუმცა, ოჯახის წევრები დაბრუნდნენ დეკემბრის დასაწყისში და მომჩივანთან დარჩენის საშუალება ჰქონდათ მანამ, სანამ იგი არ გააგზავნეს ფორცეში (იხ. პუნქტი 21 ზემოთ).

7. სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა

38. იძულებით დასახლებული პირებისთვის სამუშაოს შოვნის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა კალა რეალეში არსებული ფირმის - Massidda-Costruzioni edili მიერ გამოცხადებული ვაკანსიები. თუმცა ეს სამუშაო შესაძლებლობაც საკმაოდ მოკრძალებული გახლდათ – ოთხი პიროვნება იყო დასაქმებული 1975 წელს, ხოლო, 1976 წელს – თერთმეტი. მთავრობამ აღნიშნა, რომ ბატონ გუცარდის არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია სამუშაოს შოვნის ამ შესაძლებლობის მიმართ. თუმცა, ბატონმა გუცარდმა ფირმა Massidda-დან აიღო იმის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომ იგი იქ დასაქმებული იყო 1975 წლის ოქტომბრიდან 1976 წლის მაისამდე, რის შემდეგაც არაერთი და დაჟინებული მოთხოვნა წარადგინა სამუშაოს შოვნის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ.

D. ასინარას, როგორც სავალდებულო დასახლების ადგილის, გაუქმება

43. შინაგან საქმეთა სამინისტროს 1977 წლის აგვისტოს გადაწყვეტილებით კუნძული ასინარა ამოღებული იქნა სავალდებულო დასახლების ადგილების სიიდან. ამ დროისთვის ბატონი გუცარდი ცხოვრობდა ფორცეში უკვე წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში (იხ. პუნქტი 21 ზემოთ).

II. მომჩივანის საქმესთან დაკავშირებით გამოყენებული კანონმდებლობა

44. მოპყრობა, რომელსაც მომჩივანი აპროტესტებდა, გათვალისწინებული იყო 1956 წლის 27 დეკემბრის № 1423 და 1965 წლის 31 მაისის № 575 კანონებით.

A. 1956 წლის კანონი

45. ეს კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა პრევენციულ ღონისძიებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირთა მიმართ, "რომლებიც საფრთხეს უქმნიან უშიშროებასა და საზოგადოებრივ ზნეობას".

46. კანონის პირველი მუხლი, სხვებთან ერთად, ეხება "უსაქმურებსა" და "სამუშაოსთვის ვარგის ჩვეულებრივ მაწანწალებს", აგრეთვე "ნებისმიერ პირს, რომელიც სარგებლობს ცუდი რეპუტაციითა და სისტემატურად ჩაბმულია უკანონო გარიგებებში" და პირებს, რომელთა საქციელისა და ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ისინი ცხოვრობენ დანაშაულით ან მასში თანამონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავლებით ან, რომელთა საქციელი საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ მათ მიდრეკილება აქვთ დანაშაულის ჩადენისაკენ.

პოლიციის უფროსს შეუძლია ასეთ პირებს გაუგზავნოს გაფრთხილება იმის შესახებ, რომ შეიცვალონ ცხოვრების წესი და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ პოლიციის ორგანოებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონის შესაბამისი მუხლებში მითითებული ზომები. მილანის პოლიციის უფროსის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბატონმა გუცარდიმ ასეთი გაფრთხილება მიიღო პალერმოში 1967 წლის 26 სექტემბერს, ანუ იმ მოვლენებამდე გაცილებით ადრე, რომელთა დაკავშირებითაც მან საჩივარი შემოიტანა კომისიაში.

47. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ზნეობას და აღმოჩენილ იქნებიან საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, პოლიციის უფროსს ისინიც შეუძლია გააგზავნოს შინ და აუკრძალოს უკან დაბრუნება წინასწარი შეტყობინების გარეშე.

48. თუ პირი, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ზნეობას, გაფრთხილების მიუხედავად არ შეიცვლის ცხოვრების წესს, ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მას შეიძლება დაენიშნოს პოლიციის ზედამხედველობა. საჭიროების შემთხვევაში დამატებით შეიძლება აეკრძალოს ერთ ან მეტ დასახლებულ რაიონში ცხოვრება ან, განსაკუთრებით საშიში პირის შემთხვევაში, შეეფარდოს მითითებულ რაიონში სავალდებულო დასახლება.

ამ ღონისძიებების შეფარდება შეუძლია მხოლოდ მოცემული პროვინციის მთავარი ქალაქის საოლქო სასამართლოს. ღონისძიება შეიძლება შეეფარდოს პოლიციის უფროსის მიერ სასამართლოს თავმჯდომარისთვის გაგზავნილი მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე (მე-4 მუხლის პირველი პუნქტი). საოლქო სასამართლომ, კოლეგიური წესით, მოტივირებული გადაწყვეტილება 30 დღის ვადაში უნდა გამოიტანოს. სასამართლო ჯერ მოისმენს პროკურატურის არგუმენტაციას, ხოლო, შემდეგ შესაბამისი პირისას. ამ უკანასკნელს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს სასარჩელო განცხადებით და იყლიოს ადვოკატი (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი).

პროკურატურასა და შესაბამის პირს შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში. აპელაციას სასჯელის გადამვადებელი ძალა არა აქვს. სააპელაციო სასამართლოს 30 დღის ვადაში კოლეგიური წესით გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილება (მე-4 მუხლი). ეს გადაწყვეტილება, იმავე საფუძველით, შეიძლება კიდევ გასაჩივრდეს საკასაციო სასამართლოში, რომელსაც მოტივირებული გადაწყვეტილება 30 დღის ვადაში გამოაქვს (მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი).

50. შეფარდებული ღონისძიებების აღსრულება ევალება პოლიციის უფროსს (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი). შესაბამისი პირის შუამდგომლობითა და პოლიციის მოსაზრების გაცნობის შემდეგ, შეფარდებული ღონისძიება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს შემფარდებელი ორგანოს მიერ, თუ აღარ არსებობს ის გარემოებები, რამაც შესაბამისი ღონისძიების გამოყენება გამოიწვია.

B. 1965 წლის კანონი

52. 1965 წლის კანონი ამ დამცავი კანონების რიგს აბოლოებს მაფიის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების დღეებით. ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, იგი გამოიყენება ბატონი გუცარდის მსგავსი პირების მიმართ, რომელთა დაკავშირებითაც არსებობს საფუძველიანი ეჭვი, რომ ისინი მიეკუთვნებიან მაფიოზური ტიპის გაერთიანებებს. პროკურორი უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა მათ მიმართ პრევენციული ღონისძიებების გამოყენების შესახებ, წინასწარი გაფრთხილების გარეშე. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო (მუხლი 2). მე-5 მუხლის

მიხედვით, სავალდებულო დასახლების ადგილის თვითნებური მიტოვება ისჯება პატიმრობით ვადით 6 თვიდან 5 წლამდე.

საქმის წარმოება კომისიაში

55. 1978 წლის 7 დეკემბრის მოხსენებაში კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ დაცული არ იყო კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები (ერთსულოვნად), მაგრამ არ დაადასტურა შემდეგი მუხლების დარღვევა: მე-3 მუხლი (ერთსულოვნად), მე-8 მუხლი (თერთმეტი ხმით არც ერთის წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა) და მე-9 მუხლი (ერთსულოვნად). კომისიამ ერთსულოვნად განაცხადა, რომ სადავო წარმოება არ თავსდება მე-6 მუხლის ფარგლებში.

სამართლებრივი მხარე

B. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

89. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

"..."

1. ჰქონდა თუ არა ადგილი თავისუფლების აღკვეთას მოცემულ საქმეში

90. კომისიის მოსაზრებით, მომჩივანი ასინარაზე იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის პირობებში მე-5 მუხლის გაგებით. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მომჩივანის ადგილსამყოფელის მეტად მცირე ფართობს, მომჩივანზე თითქმის უწყვეტ ზედამხედველობას, სოციალური კონტაქტების ქონის ფაქტიურ შეუძლებლობასა და კალა რეალეში იძულებით ყოფნას.

91. მთავრობამ გააპროტესტა ასეთი შეფასების კორექტულობა. მთავრობის თქმით, კომისიის მიერ მითითებული ფაქტორები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ კუნძულზე იძულებით დასახლებულ პირთა პირობები მიჩნეულიყო იტალიის კანონმდებლობით გათვალისწინებული პატიმრობის პირობების თანაბრად. ამ ორი კატეგორიის პირთა საარსებო პირობებს შორის არის არსებითი განსხვავებები, რომლებიც კომისიას არამართებულად გამორჩა მხედველობიდან. თავისუფლების თვალსაზრისით, განმასხვავებელი ფაქტორი იყო არა იმდენად გადაადგილების ფართობის მოცულობა, არამედ ამ ფართობის გამოყენების შესაძლებლობა. იტალიაშიც და სხვაგანაც საკმაოდ ბევრი ტერიტორიული ერთეულია 2.5 კვადრატულ კილომეტრზე ნაკლები. მომჩივანს შეეძლო საცხოვრებელი ადგილიდან წასვლა და დაბრუნება თავისი სურვილისამებრ დილის 7-დან საღამოს 10 საათამდე პერიოდში. მის მიერ ასინარაზე გატარებული 16 თვიდან 14 თვის განმავლობაში იგი ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. მას ჰქონდა ბინისა და საოჯახო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ანუ ის ორი უფლება, რომლებსაც კონვენცია ანიჭებს მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს. სოციალური ურთიერთობის მხრივაც, მას გაცილებით უფრო კარგად ეპყრობოდნენ, ვიდრე საპატიმროში მყოფ პირებს. მას შეეძლო, კალა რეალეს საზღვრებს შიგნით, შეხვედროდა თავისუფალი ადამიანების მცირე საზოგადოების წევრებს – კუნძულზე, კერძოდ, კალა დოლივაში მაცხოვრებელ ორასამდე ადამიანს; შეეძლო ნებართვის საფუძველზე სარდინიაში ან მატერიკზე წასვლა; შეეძლო წერილისა ან ტელეგრამის ყოველგვარი კონტროლის გარეშე გაგზავნა და კორესპონდენციის მიღება; გამოეყენებინა ტელეფონი, მისი სატელეფონო მოსაუბრის ვინაობისა და

ტელეფონის ნომრის კარაბინერებისთვის შეტყობინების შემდეგ. ზედამხედველობა, რასაც მომჩივანი აპროტესტებდა, წარმოადგენდა მის მიმართ იძულებით დასახლების ღონისძიების გამოყენების უმთავრეს საფუძველს. დაბოლოს, მთავრობამ განაცხადა, რომ ფაქტს, რომ მის ფორცეში გადაყვანამდე 16 თვეზე მეტი გავიდა, არანაირი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ აცხადებს რა "პირადი თავისუფლების უფლებას", მე-5 მუხლის პირველი პუნქტი მას განმარტავს როგორც პიროვნების ფიზიკურ თავისუფლებას. მისი მიზანია, უზრუნველყოს, რომ პიროვნებას არავინ წაართვას ეს თავისუფლება თვითნებურად. როგორც სასამართლოს წინაშე გამომსვლელებმა აღნიშნეს, ეს პუნქტი არ გულისხმობს უბრალოდ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას. ასეთ შეზღუდვებზე საუბარია მე-4 ოქმის მე-2 მუხლში, რომლის რატიფიკაციაც იტალიას არ მოუხდენია. იმის დადგენისას, "წაართვეს თუ არა პირს პირადი თავისუფლება" მე-5 მუხლის გაგებით, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს თვითონ ამ პირის ყოფის კონკრეტული პირობები და ყურადღება უნდა მიექცეს მთელ რიგ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: მოცემული ღონისძიების სახეობა, ხანგრძლივობა, შედეგები და მისი აღსრულების მეთოდი (იხ. 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე **Engel and others, Series A no. 22**, გვ. **24**, პუნქტი **58-59**).

93. მაგრამ განსხვავება თავისუფლების აღკვეთასა და თავისუფლების შეზღუდვას შორის დამოკიდებულია მხოლოდ გამოყენებული ზომის ხარისხსა ან ინტენსიურობაზე და, არა მის ხასიათსა ან არსზე. მართალია, რომელიმე კატეგორიისთვის კონკრეტული შემთხვევის მიკუთვნება საკმაოდ რთულია და ზოგჯერ მათ შორის გამავალ ზღვარზე მდგომი საქმეების მიკუთვნება მთლიანად სუბიექტურ აზრზეა დამოკიდებული, მაგრამ სასამართლოს არ შეუძლია არ გააკეთოს არჩევანი, რომელზეც დამოკიდებულია მე-5 მუხლის გამოყენება – არგამოყენების საკითხი.

94. 1956 წლის კანონის საფუძველზე (იხ. პუნქტები 48-49 ზემოთ) შეფარდებული ღონისძიება – განსაკუთრებული ზედამხედველობა მითითებულ ადგილას დასახლების ვალდებულებით - თავისთავად არ ექცევა მე-5 მუხლის მოქმედების სფეროში. კომისია ამას ადასტურებს. კომისიამ ყურადღება გაამახვილა კალა რეალეში ბატონი გუცარდის "რეალური ყოფის პირობებზე" და აღნიშნა, რომ 1977 წლის 5 ოქტომბერს მან მისალებად არ მიიჩნია იგივე პიროვნების მიერ ფორცეში ცხოვრების პირობებთან დაკავშირებული საჩივარი №. 7960/77.

არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს "თავისუფლების აღკვეთა" არ შეიძლება გამომდინარეობდეს შეფარდებული ღონისძიების აღსრულების მეთოდიდან, ზოლო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება მხოლოდ აღსრულების მეთოდს (იხ. პუნქტი 88 ზემოთ).

95. დამაჯერებლობას არ არის მოკლებული ჭავრობის არგუმენტაცია (იხ. პუნქტი 91 ზემოთ). აქ ნათლად არის გამოკვეთილი განსხვავებები ასინარაზე მომჩივანის მოპყრობის პირობებსა და საპატიმროში მყოფი პირისა ან დასჯილი სამხედრო მოსამსახურის კლასიკურ პირობებს შორის (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე **Engel and others**, გვ. 26, პუნქტი 63). თუმცა, თავისუფლების აღკვეთას შეიძლება სხვადასხვა სახე ჰქონდეს. მათი მრავალფეროვნება იზრდება იურიდიული სტანდარტებისა და მიდგომების განვითარებასთან ერთად. კონვენცია კი უნდა განიმარტოს იმ ცნებებიდან გამომდინარე, რომლებიც აჟამად არსებობს და დომინირებს დემოკრატიულ სახელმწიფოებში (კერძოდ, იხ. 1978 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება **Tyrer-ის საქმეზე, Series A no. 26**, გვ. 15-16, პუნქტი 31)..

მართალია, ფართობი, რომლის ფარგლებშიც მომჩივანის შექმნა გადაადგილება, გაცილებით დიდი იყო ჩვეულებრივი საკნის ზომებზე და არ იყო შემოზღუდული რაიმე ფიზიკური ბარიერით, ის წარმოადგენდა ძნელად მისადგომი კუნძულის მხოლოდ მცირედ ნაწილს, ხოლო, კუნძულის ცხრა მეათედი ნაწილი ეკავა ციხის ტერიტორიას. ბატონი გუცარდი დაბინავებული იყო სოფელ კალა რეალეს ნაწილში, რომელიც ძირითადად შედგებოდა ყოფილი სამედიცინო დაწესებულების გაურემონტებელი ან საერთოდ დანგრეული შენობებისგან, კარაბინერთა პუნქტის, სკოლისა და სამრეკლოსგან. ის ძირითადად ცხოვრობდა იმ პირებთან ერთად, რომელთაც მსგავსი ზომა ჰქონდათ შეფარდებული, და პოლიციელებთან. ასინარას მუდმივი მაცხოვრებლები თითქმის მთლიანად ცხოვრობდნენ კალა დოლივაში, რომელშიც ბატონ გუცარდის წასვლა არ შექმნო და, როგორც ჩანს, ნაკლებად თუ შეძლებდა კალა რეალეში წასვლის უფლების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, მომჩივანს თითქმის არ ჰქონდა სოციალური კონტაქტები, თუ არ ჩავთვლით ურთიერთობას მის ოჯახთან, “თანამობინადრებსა” და ზედამხედველ პირებს. შემდეგ, ბატონ გუცარდის არ შექმნო საცხოვრებელი ადგილის დატოვება ღამის 10 საათსა და დღის 7 საათს შორის პერიოდში ამგვარად, შესაბამისი ორგანოებისთვის წინასწარ დროული შეტყობინების გარეშე. მას დღეში ორჯერ უნდა ჩაებარებინა ანგარიში და, ტელეფონით საუბრის სურვილის შემთხვევაში, უნდა ეცნობებინა მოსაუბრის ვინაობისა და ტელეფონის ნომრის შესახებ. სარდნიასა ან მატერიკზე წასვლის წინ მას უნდა მოეპოვებინა ნებართვა. ასეთი გამგზავრება საერთოდ ძალიან იშვიათად ხდებოდა და, თუ ხდებოდა, კარაბინერების მკაცრი ზედამხედველობით. მომჩივანის მიერ რაიმე ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევდა მის “დაპატიმრებას”. დაბოლოს, კალა რეალეში მისი ჩასვლიდან ფორცეში გამგზავრებამდე გავიდა 16 თვეზე მეტი (იხ. პუნქტები 11, 12, 21, 23-42 და 51 ზემოთ).

რა თქმა უნდა, თუ ამ თითოეულ ფაქტორს სათითაოდ განვიხილავთ, შეუძლებელია საუბარი იყოს “თავისუფლების აღკვეთაზე”, მაგრამ, თუ მათ ავიღებთ ერთობლიობაში, მაშინ ისინი ქმნიან მე-5 მუხლით მოცულ კატეგორიას. გასაჩივრებული მოპყრობა რიგ ასპექტებში წააგავს “ღია ტიპის ციხეში” პატიმრობას ან დისციპლინარულ ნაწილში მოთავსებას (იხ. შემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე Engel and others, გვ. 26, პუნქტი 64). 1976 წლის 20 იანვარს მილანის საოლქო სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ მოპყრობას იგი არ თვლიდა დამაკმაყოფილებლად. ადმინისტრაციულ ორგანოებსაც ჰქონდათ ეჭვები ამის თაობაზე, რადგან მათ გამოიძიეს მდგომარეობის შემსუბუქების შესაძლებლობები. ამისთვის საჭირო დიდი ხარჯებისა და დროის გათვალისწინებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1977 წლის აგვისტოში ასინარა უბრალოდ ამოიღო იძულებითი დასახლების ადგილების სიიდან (იხ. პუნქტები 20 და 43 ზემოთ). საქმეში არსებული რიგი დოკუმენტური მტკიცებულებებით მტკიცდება, რომ კუნძული ასინარა არ წარმოადგენდა 1956 და 1965 წლების კანონების გამოყენებისთვის შესაბამის ადგილს. ეს ფაქტი საბოლოოდ იტალიის სახელმწიფომაც აღიარა.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთას.

2. გამართლებული იყო თუ არა ამ საქმეში დადგენილი თავისუფლების აღკვეთა მე-5 მუხლის პირველი პუნქტით

96. ახლა უნდა დადგინდეს, განეკუთვნებოდა თუ არა ეს შემთხვევა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ამომწურავად ჩამოთვლილ გარემოებათაგან ერთ-ერთს, რომლებიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აძლევს პირის დაკავებისა ან დაპატიმრების უფლებას (იხ. 1979 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება Winterwerp-ის საქმეზე, Series A no. 33, გვ. 16, პუნქტი 37).

(a) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (e) ქვეპუნქტი (რომელზეც მიუთითა მთავრობამ)

97. სხვა არგუმენტაციასთან ერთად მთავრობამ მიუთითა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (e) ქვეპუნქტზე და განაცხადა, რომ მომჩივანის მსგავსი მაფიოზები წარმოადგენდნენ “მაწანწალებსა” და “სხვა კატეგორიას”. 1956 წლის კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში საუბარია “უსაქმურებსა” და “სამუშაოსთვის ვარგის ჩვეულებრივ მაწანწალებზე” – ფრაზა, რომელიც განმარტებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მის 1964 წლის 23 მარტის № 23 გადაწყვეტილებაში. მთავრობის აზრით, “მაწანწალებისთვის” ისეთი პრევენციული ღონისძიების შეფარდება, როგორცაა თავისუფლების შეზღუდვა ან თუნდაც აღკვეთა, გამართლებულია კონვენციითაც და იტალიის კანონმდებლობითაც, არა იმდენად კონკრეტული საცხოვრებელი ადგილის უქონლობით, არამედ მოცემული პირის დაუსაქმებლობით, რის გამოც შეუძლებელია მისი საარსებო წყაროს დადგენა. მთავრობის განცხადებით, ასეთი სახიფათო ფაქტორის არსებობა აღიარებული იყო მილანის საოლქო სასამართლოს მიერ მის 1975 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებაში (იხ. პუნქტი 12 ზემოთ). გარდა ამისა და უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო გაცილებით უფრო დიდი საფრთხე – მომჩივანის კავშირი მაფიოზურ დაჯგუფებებთან, რომლებიც ჩაბმული იყვნენ ადამიანების მოტაცებაში გამოსასყიდის გამოძღვის მიზნით. მთავრობის მტკიცებით, შეუძლებელია საერთაშორისო დოკუმენტში გათვალისწინებული იყოს კონკრეტულად იტალიისთვის დამახასიათებელი მაფიის ფენომენი, ხოლო, მეორე მხრივ, აბსურდი იქნება მე-5 მუხლი გაგებულ იქნეს ისე, თითქოს დასაშვები იყოს მაწანწალებისა და არა მაფიოზებისთვის თავისუფლების აღკვეთა.

98. სასამართლო ეთანხმება კომისიის საწინააღმდეგო მოსაზრებას.

არც მილანის პოლიციის უფროსის 1974 წლის 23 ნოემბრის ანგარიშში, არც საოლქო სასამართლოს 1975 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებაში (იხ. პუნქტი 12 ზემოთ) და არც სააპელაციო სასამართლოს 1975 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებაში 1956 წლის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე მითითება არ ყოფილა. ამ ორგანოებმა 1956 წლის კანონზე მიუთითეს მხოლოდ 1965 წლის კანონთან ერთობლიობაში, რომელიც ეხება პირებს, რომლებზეც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი მიეკუთვნებიან მაფიოზური ტიპის დაჯგუფებებს (იხ. პუნქტი 52 ზემოთ). მეტიც, მათ საერთოდ არ აღუწერიათ ან მოუხსენებიათ ბატონი გუცარდი როგორც მაწანწალა. მათ გაკვრით აღნიშნეს, რომ არსებობდა სერიოზული ეჭვი, მართლაც მუშაობდა თუ არა იგი ქვის მთლელად, როგორც თვითონ აღნიშნა, მაგრამ მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ინფორმაციას მისი წარსულის შესახებ, უკანონო საქმიანობებს, მის კავშირებს ჩვეულებრივ კრიმინალებთან და კიდევ უფრო მეტ კავშირებს მაფიასთან. პოლიციის უფროსმა ისიც თქვა, რომ დანაშაულებრივ საქმიანობას ვერ გაამართლებდა ვერც სიღარიბე, ვერც უსაქმურობა და ვერც მაწანწალობა.

გარდა ამისა, მომჩივანის ცხოვრების წესი იმ პერიოდში, როგორც დოკუმენტური მასალებიდან ჩანს, სულაც არ შეესაბამებოდა სიტყვა “მაწანწალობის” მნიშვნელობას იმ გაგებით, რაც კონვენციის გამოყენებისთვის არის მნიშვნელოვანი (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე De Wilde, Ooms and Versyp, გვ. 37. პუნქტი 68; აგრეთვე, “არაჯანმრთელი გონების ადამიანების” დეფინიციის შესახებ, იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება Winterwerp-ის საქმეზე, გვ. 17. პუნქტი 38). მართალია, ისინი უარყოფენ ამას, მაგრამ მთავრობის მსჯელობასაც სწორედ ამ დასკვნამდე მიყვავართ. 1978 წლის 9 თებერვლის კომისიის სხდომაზე მთავრობის წარმომადგენელმა ბატონი გუცარდი მოიხსენია როგორც “მაწანწალა, ამ სიტყვის ფართო გაგებით”, “ფულიანი მაწანწალა”. მაგრამ მე-5 მუხლის პირველი

პუნქტით დაშვებული გამონაკლისები საჭიროებს უფრო ვიწრო განმარტებას (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება Winterwerp-ის საქმეზე, გვ. 16, პუნქტი 37).

მთავრობის არგუმენტაცია სხვა მხრივაც სადავოა. მაწანწალებთან ერთად, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (e) ქვეპუნქტი ეხება არაჯანმრთელი გონების ადამიანებს, ალკოჰოლიკებსა და ნარკომანიით დაავადებულებს. ამ პირების თავისუფლების აღკვეთას, რომელთაგან ყველა მათგანი სოციალურად არაადაპტირებულია, კონვენცია უშვებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდნენ საზოგადოების უსაფრთხოებისთვის, არამედ იმიტომაც, რომ მათი დაკავება, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს აუცილებელი. ამიტომ არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ რაკი მე-5 მუხლი იძლევა მაწანწალების დაკავების ნებართვას, იგივე ეხება სხვა პირებსაც, რომლებიც მეტ საშიშროებას წარმოადგენენ.

(b) მე-5 მუხლის სხვა ქვეპუნქტები (რომლებზეც მთავრობას არ მიუთითებია)

99. სასამართლომ მოცემული საკითხი გამოიკვლია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის სხვა ქვეპუნქტების თვალსაზრისითაც, რომლებზეც მთავრობას არ მიუთითებია.

100. ფაქტებით მტკიცდება, რომ ბატონი გუცარდის იძულებითი დასახლება მოცემულ ადგილზე არ წარმოადგენდა სასჯელს რაიმე კონკრეტული დანაშაულისთვის, არამედ პრევენციულ ღონისძიებას, რომელიც გამოყენებული იქნა ამ პირის დანაშაულისადმი სფარაულო მიდრეკილების გამო (იხ. პუნქტები 9 და 12 ზემოთ). კომისიის აზრით, აქედან გამომდინარეობს, რომ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტის მიზნებისთვის ეს ღონისძიება არ წარმოადგენდა დაკავებას “კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ” (იხ. კომისიის მოხსენების პუნქტი 102).

სასამართლოს აზრით, თუ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტს შევადარებთ მე-6(2) და მე-7(1) მუხლებთან, გამოჩნდება, რომ კონვენციის მიზნებისთვის შეუძლებელია არსებობდეს “მსჯავრდება”, თუ კანონით დადგენილი წესით არ დადგინდა, რომ ჩადენილია სამართალდარღვევა, სისხლის სამართლის დანაშაული ან დისციპლინური გადაცდომა (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე **Engel and others**, გვ. 27, პუნქტი 68). გარდა ამისა, “მსჯავრდების” პრევენციულ ან უსაფრთხოების ზომასთან გაიგივება არ შეესაბამება არც ვიწრო განმარტების პრინციპს, რომელიც მოქმედებს ამ შემთხვევაში (იხ. პუნქტი 98 ზემოთ) და არც თვითონ ამ სიტყვის მნიშვნელობას, რომელიც გულისხმობს ბრალის დადგენას.

ამგვარად, სასამართლო მიდის იგივე დასკვნამდე, რა დასკვნამდეც მივიდა კომისია.

101. გასაჩივრებული თავისუფლების აღკვეთა არ იყო გამართლებული არც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (b) ქვეპუნქტით.

მართალია, 1956 წლის კანონის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს სანქცია იმისათვის, რომ შესაბამისმა პირმა რეაგირება არ მოახდინა წინასწარ გაფრთხილებაზე, თუმცა, ასეთი გაფრთხილება ყოველთვის აუცილებელი არ არის, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება 1965 წლის კანონით რეგულირებულ საკითხებს. გარდა ამისა, გაფრთხილება იცემა პოლიციის უფროსის მიერ, რაც “სასამართლოს ბრძანებას” არ წარმოადგენს (იხ. პუნქტები 46 და 52 ზემოთ).

რაც შეეხება სიტყვებს, “კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად”, ეს სიტყვები ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც კანონი იძლევა პირის დაკავების ნებას, რათა აიძულოს იგი, შეასრულოს “კონკრეტული და მითითებული” ვალდებულება, რომელიც მას უნდა შეესრულებინა და არ შეასრულა (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე **Engel and others**, გვ. 28, პუნქტი 69). მაგრამ კომისიამ მართებულად აღნიშნა, რომ 1956 და 1965 წლების კანონებში საუბარია მხოლოდ ზოგად ვალდებულებებზე.

102. მომჩივანი ასევე არ იმყოფებოდა რომელიმე იმ სიტუაციაში, რომლებზეც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტშია საუბარი.

მართალია, არსებობდა “საფუძვლიანი ეჭვი, რომ [მომჩივანმა] ჩაიდინა დანაშაული” და რომ კუნძულ ასინარაზე ყოფნის პერიოდშიც ჰქონდა ბრალი წაყენებული, მაგრამ საოლქო სასამართლოს (1975 წლის 30 იანვარი), სააპელაციო სასამართლოსა (1975 წლის 12 მარტი) და საკასაციო სასამართლოს (1975 წლის 6 ოქტომბერი) გადაწყვეტილებები იურიდიულად საერთოდ არ ეხებოდა მომჩივანის მიმართ მიმდინარე გამოძიებას. ეს გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა 1956 და 1965 წლების კანონებს, რომლებიც გამოიყენება იმის მიუხედავად, იყო თუ არა ბრალი წაყენებული და არ ითვალისწინებს “უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების” წინაშე წარდგენას (იხ. პუნქტები 9, 11, 12, 17, 19, 21 და 45-52 ზემოთ). ბატონი გუცარდის წინასწარი პატიმრობა შეწყდა 1975 წლის 8 თებერვალს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული ორწლიანი ვადის გასვლის მომენტიდან. თუ – როგორც მომჩივანი მიანიშნებდა, მაგრამ დამტკიცება ვერ შეძლო – ეს კანონები გამოყენებული იყო იმისათვის, რომ განხრადღივებულიყო დაკავების ვადა, მაშინ ეს “უკანონო” იქნებოდა; მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის ფრანგული ტექსტი, განსხვავებით (a), (b), (d), (e) და (f) ქვეპუნქტებისგან, არ შეიცავს ეკვივალენტურ სიტყვას “régulière”-ს, მაგრამ ინგლისური ტექსტი მოიხსენიებს “კანონიერ” დაკავებას და ამ ზედსართავი სახელით გამოხატული პრინციპი დომინირებს მთელ მე-5 მუხლში (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება Winterwerp-ის საქმეზე, გვ. 17-18. პუნქტები 39-40). გარდა ამისა, პრობლემა შეიძლება წარმოშობილიყო მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებითაც, რომელიც გაგებულ უნდა იქნეს პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტთან (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე Ireland v. the United Kingdom, გვ. 75, პუნქტი 199), აგრეთვე მე-18 მუხლთან ერთობლიობაში.

ერთი შეხედვით, მომჩივანის მიმართ ღონისძიება გამოყენებული იყო, რადგან ეს “გონივრულად აუცილებელი იყო [ბატონი გუცარდის მიერ] დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად” ან “დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაქცევის” თავიდან ასაცილებლად. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დადგებოდა ამ ღონისძიების “კანონიერების” საკითხი, რადგან, 1956 და 1965 წლების კანონების თანახმად, იძულებითი დასახლების ბრძანება, როგორც ასეთი, თავი რომ დაგანებოთ მისი აღსრულების პირობებს, არ წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას (იხ. პუნქტი 94 ზემოთ). მაშინ განხილული უნდა ყოფილიყო, დაცული იყო თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები (იხ. 1961 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება **Lawless**-ის საქმეზე, **Series A no. 3**, გვ. 51-53, პუნქტები 13-14). ნებისმიერ შემთხვევაში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის ზემოაღნიშნული ფრაზა კონკრეტულად მისადაგებული არ არის პრევენციის ზოგად პოლიტიკაზე, რომელიც მიმართული იქნებოდა იმ პირის ან პირთა კატეგორიის მიმართ, რომლებიც მაფიოზების მსგავსად წარმოადგენენ საფრთხეს დანაშაულის ჩადენისაკენ მათი მიდრეკილების გამო. ეს ფრაზა, უბრალოდ, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, თავიდან აიცილონ კონკრეტული და განსაზღვრული დანაშაულის ჩადენა. ეს ჩანს როგორც მუხლში გამოყენებული მხოლოდითი რიცხვიდან (ფრანგულ ტექსტში ნახსენებია სიტყვა “დანაშაული”

"**celle-ci**"; იხ. 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება **Matznetter**-ის საქმეზე, **Series A no. 10**, გვ. 40 და 43, ბატონი ბალადორე პალიერისა და ბატონი ზეკიას განსხვავებული აზრები), ისე თვით მე-5 მუხლის დანიშნულებიდან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ არავის აღეკვეთოს თავისუფლება თვითნებურად (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება **Winterwerp**-ის საქმეზე, გვ. 16, პუნქტი 37).

103. დაბოლოს, აშკარაა მე-5 მუხლის (d) და (f) ქვეპუნქტებს მოცემულ საქმესთან შეხება არ აქვთ.

(c) დასკვნა

104. სასამართლო საბოლოო ვაშში მიდის დასკვნამდე, რომ 1975 წლის 8 თებერვლიდან 1976 წლის 22 ივლისამდე პერიოდში მომჩივანი დაზარადა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შედეგად.

C. სხვა სავარაუდო დარღვევები

3. მე-6 მუხლი

108. ბატონი გუცარდის კითხვას – 1975 წელს მიმდინარე წარმოებისას, რომელიც საკასაციო სასამართლოში დასრულდა, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო თუ არა მე-6 მუხლით აღიარებული გარანტიები – სასამართლომ უარყოფითად უპასუხა.

სასამართლოს აზრით, ეს წარმოება არ იყო დაკავშირებული "სისხლის სამართლის ბრალდების დადგენასთან", თუნდაც ეს სიტყვები გაგებული იყოს კონვენციით (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება **Engel and others** საქმეზე, გვ. 34, პუნქტი 81). სადავო საკითხი იმის შესახებ, უნდა ჩაითვალოს თუ არა პირადი თავისუფლების უფლება "სამოქალაქო უფლებად", დავის საგანია (იხ. 1975 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება **Golder**-ის საქმეზე, **Series A no. 18**, გვ. 16, პუნქტი 33, აგრეთვე ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე **Ireland v. the United Kingdom**, გვ. 89, პუნქტი 235). ნებისმიერ შემთხვევაში, წარმოდგენილი მტკიცებულებებით მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა არ დასტურდება.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლო

1. თექვსმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, არ აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნას, საქმე განხილულიყო *ex officio* საფუძველზე მე-5 და მე-6 მუხლების მიხედვით;
2. ათი ხმით რვის წინააღმდეგ, არ აკმაყოფილებს მთავრობის პროტესტს იმის თაობაზე, რომ შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები არ ამოწურულა;
3. თხუთმეტი ხმით სამის წინააღმდეგ, არ აკმაყოფილებს მთავრობის განცხადებას განხილვის საგნის არარსებობის თაობაზე;
4. თერთმეტი ხმით შვიდის წინააღმდეგ, აცხადებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთას კონვენციის მე-5 მუხლის გაგებით;

5. ერთსულოვნად აცხადებს, რომ ეს თავისუფლების აღკვეთა არ იყო გამართლებული მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (e) ან (b) ქვეპუნქტით;
6. თექვსმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, აცხადებს, რომ აღნიშნული თავისუფლების აღკვეთა არ იყო გამართლებული არც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტით;
7. თორმეტი ხმით ექვსის წინააღმდეგ, აცხადებს, რომ აღნიშნული თავისუფლების აღკვეთა, ასევე არ იყო გამართლებული მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტით;
8. შეჯამების სახით, ათი ხმით რვის წინააღმდეგ აცხადებს, რომ 1975 წლის 8 თებერვლიდან 1976 წლის 22 ივლისამდე მომჩივანი დაზარალდა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შედეგად;
9. ერთსულოვნად აცხადებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ დარღვეულა მე-3, მე-6 ან მე-9 მუხლები;
10. ჩვიდმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ აცხადებს, რომ ასევე არ დარღვეულა მე-8 მუხლი;
11. თორმეტი ხმით ექვსის წინააღმდეგ აცხადებს, რომ იტალიის რესპუბლიკამ 50-ე მუხლის შესაბამისად მომჩივანს უნდა გადაუხადოს ერთი მილიონი (1 000 000) ლირა.